ISSN 1512-1801
Teachers' first conference "University and School - essential to each other", 29-30 November 2013.
Materials

"იაკობ გოგებაშვილი-წარსულის შვილი, აწმყოს აღმზრდელი და მომავლის გადია"

ციური ბერიძე
რუსთავის ჟიული შარტავას სახ. № 4 საჯარო სკოლა,
ტელ: (0341) 22 05 19, მობ: 557 67 87 tsiuri.beridze@mail.ru

რეზიუმე

წარმოდგენილი ნაშრომი მოიცავს 10 გვერდს. მასში განხილულია საქართველოში განათლების რეფორმის შესაბამისად ახალ სტანდარტზე გადასვლის პროცესში ქართული სკოლის დაწყებით კლასებში არსებული პრობლემები, გამახვილებულია ყურადღება იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობის ტრადიციული სწავლების აუცილებლობაზე, დედაენის და უცხო ენების სწავლების პრობლემებზე, საათების გაზრდაზე ქართულ ენაში, მათემატიკაში, რელიგიის, კულტურის და შრომით სწავლებაში. აგრეთვე კლასგარეშე ლიტერატურის გამოცემაზე და კითხვის საათის დაწესებაზე, კალიგრაფიული წერის დედნების აღდგენის აუცილებლობაზე, სკოლაში უხარისხო დაფების შეცვლაზე და დახაზული დაფების შეძენაზე დაწყებით კლასებში, აღნიშნულია, რომ მეტი თვალსაჩინოებანი უნდა გამოიცეს სკოლისთვის და ცენტრალიზებული წესით მომარაგდეს სკოლები.

ნაშრომში აღნიშნულია აგრეთვე, რომ უნდა გადაიხედოს დაწყებით კლასებში(და არა მარტო) მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 15-20-ს და სხვა.

მნიშვნელოვანი ადგილი დათმობილი აქვს ნაშრომში იაკობ გოგებაშვილის სახ. პედაგოგთა რესპუბლიკური კავშირის საქმიანობის საინტერესო ინფორმაციას და ამ კავშირის უფლებამო სილებებს, დაფინანსების პრობლემებს და სხვა.

ნაშრომის ავტორი შეეცადა წარმოეჩინა ზემოაღნიშნული პრობლემები პრაქტიკოს მასწავლებლებთან გასაუბრებით, მათი მოსაზრებების და რეკომენდაციების გათვალისწინებით. ამიტომ ეს ნაშრომი უფრო პრაქტიკულ ხასიათს ატარებს, ვიდრე სამეცნიერო ხასიათის სტატია.

საკვანძო სიტყვები: *პედაგოგი, აღზრდა, სკოლა*

ახალ, ევროპულ სტანდარტებზე გადასვლამ თანამედროვე პედაგოგიურ მეცნიერებასა და პრაქტიკაში ძველ, ტრადიციულ სკოლას დაუპირისპირა აქტიური სკოლა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეზე, მისი ცოდნის და უნარ-ჩვევების გაღრმავებაზე და პოტენციური შემოქმედებითი შესაძლებლობების გახსნა-ამოქმედებაზე. ამიტომ მასწავლებელიც უნდა იყოს აქტიური შემოქმედი და მიზანსწრაფული მოსწავლეთა აქტიურ, კონსტრუქციულ საქმიანობაში ჩასართველად. საგანმანათლებლო რეფორმაც ემსახურება ამ საქმეს და არის სიახლეთა ძირითადი გამტარებელი სკოლაში.

ამავე დროს ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უნდა ვზრუნავდეთ ქართული ფასეულობების განმტკიცებაზე, ჩვენი ეროვნული კულტურის წიაღში მოზარდი

ISSN 1512-1801
Teachers' first conference "University and School - essential to each other", 29-30 November 2013.
Materials

თაობების შეყვანაზე და მათ აღზრდაზე ეროვნული სულისკვეთებით. ამისათვის კი ჩვენ მრავალი ზნეობრივი მაგალითი გაგვაჩნია საქართველოს წარსულში და აწმყოში. ამ სიამაყის საფუძველი კი არის ჩვენი მშობლიური ენა-ქართული, რომელიც თითოეული ბავშვის სწავლა-აღზრდის საძირკველია.

განუზომლად დიდია ამ საშვილიშვილო საქმეში ჩვენთვის იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობა, რომელიც ქართული სკოლის დაწყებითი კლასების ფუძემდებლურ პროგრამას შეიცავს.

იაკობ გოგებაშვილი- გამოჩენილი ქართველი პედაგოგი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე - ჩვენი ერის სასიქადულო შვილია. ამიტომ მასწავლებლებს დღენიადაგ გვმართებს შევისწავლოთ ამ დიდი და უანგარო წინაპრის ცხოვრება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

ი. გოგებაშვილი გულმოდგინედ შეეცადა ქართულ პედაგოგიურ სინამდვილეში სკოლაში შემდეგი პრინციპების დაფუძნებას:

- დედა-ენა უნდა იყოს ცენტრი სახალხო სკოლის კურსისა და მის რიგიან შესწავლაზედ უნდა იყოს მიქცეული უმთავრესი ყურადღება;
- სწავლება ყველა საგნებისა უნდა მიდიოდეს დედაენაზედ მთელის კურსის განმავლობაში;
- რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს, როგორც ცალკე საგანი, და მის დაწყებას უნდა ჰქონდეს ადგილი მხოლოდ მესამე წლიდან (1)

სწავლების ასეთ სისტემას გოგებაშვილი გონივრულ პედაგოგიურ სისტემას უწოდებდა.

სამწუხაროდ, დღეს გოგებაშვილის მემკვიდრეობას ზოგნი ზერელედ ეკიდებიან.

ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს გოგებაშვილის მემკვიდრეობის რომელიმე ასპექტზე ყურადღების გამახვილება, რადგან ის არის დაუშრეტელი წყარო შესწავლისათვის.

ჩვენ გვსურს მკითხველის ყურადღება გავამახვილოთ იმ პრობლემებზე, რომლებიც ეხება მასწავლებელთა საქმიანობას დაწყებით კლასებში, სადაც იაკობ გოგებაშვილის სახელთან არის დაკავშირებული მასწავლებელთა წუხილი და მოსაზრებები, გამომდინარე მათი პრაქტიკული მოღვაწეობიდან. ამისათვის ჩვენ გავიზიარეთ მათი გამოცდილება და რეკომენდაციები, რომლებიც გვინდა წარმოგიდგინოთ ქვემოთ.

ვიდრე ამ მოსაზრებებზე გადავიდოდეთ, მოგაწვდით საინტერესო ინფორმაციას ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური კავშირის შესახებ, რომელიც დღენიადაგ ზრუნავს ამ დიდი ერისკაცის სახელის უკვდავსაყოფად. ი. გოგებაშვილის სახ.

ISSN 1512-1801
Teachers' first conference "University and School - essential to each other", 29-30 November 2013.
Materials

პედაგოგიური კავშირი დაარსებიდან დღიდან დიდ ორგანიზატორულ და შემოქმედებით მუშაობას ეწევა დიდი პედაგოგის ღვაწლის დასაფასებლად ერის წინაშე. წლების მანძილზე მოწმე ვარ, როგორ აგროვებდნენ, იცავდნენ, ი. გოგებაშვილის სახელთან დაკავშირებულ ექსპონატებს, განსაკუთრებული დამსახურებისათვის ჩვენს პედაგოგებს აჯილდოვებდნენ იაკობ გოგებაშვილის მედლით და საპატიო სიგელით. აქვე მოგახსენებთ ამ კავშირის პრობლემებს.

პედკავშირის თანამშრომლები გაუსაძლის სიცივეში, უხელფასოდ, მთავრობისა და ხელისუფლების უყურადღებოდ და დაუფასებლად ემსახურებოდნენ იაკობის საგანძურს იმედით, რომ იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობა არ დაკარგულიყო და გადაეცათ შთამომავლობისთვის - მომავალი თაობისათვის. ამჟამად ეს საგანძური ინახება თეატრისა და კინოს მუზეუმში (დირექტორი - გ. კალანდია). წინა ხელისუფლების დროს აიკრძალა გოგებაშვილის საზოგადოების საქმიანობა სკოლებში და საწევროების აკრეფა, რათა ამ კავშირს მცირეოდენი სახსრები ჰქონოდა მოღვაწეობისათვის. დღესაც ამ კავშირის მესვეურნი საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ და საკუთარი სახსრებით აფინანსებენ დასაჯილდოებელ პედაგოგებს.

სამწუხაროდ ამ გულმხურვალე ადამიანებს და პედკავშირში გაერთიანებულ მათ თანამოაზრეებს დღესაც არ ჰყავთ საკადრისი ქომაგები.

გოგებაშვილის სახელობის პედკავშირი დღესაც დღენიადაგ ზრუნავს რესპუბლიკაში საუკეთესო პედაგოგების გამოსავლენად და მათი შრომის დასაფასებლად. მაგრამ ამ კავშირს წლების მანძილზე არ გააჩნია დაფინანსება და მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან. კარგი იქნება, რომ გოგებაშვილის მედლით დაჯილდოვებულ პედაგოგებს კრედიტები მიენიჭოთ ამ ჯილდოს გამო. ვფიქრობთ, ერის მოამაგის სახელს გაფრთხილება სჭირდება და ხალხის მიერ დაარსებულ გოგებაშვილის საზოგადოებას, რომელსაც ამ მიმართებით ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეუძლია, სახელმწიფოს მხრიდან თანადგომა და ხელშეწყობა სჭირდება.

რაც შეეხება სწავლების პროცესს ღვაწლმოსილ და ახალგაზრდა პედაგოგთა აზრით, დღეს სკოლაში მრავალი პრობლემაა. შევეცდებით მათგან გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც დროული მოგვარება ესაჭიროება. კერძოდ,

- საქართველოში არსებობს 12-მდე ,,დედა-ენა" სხვადასხვა ავტორობით, ხოლო გოგებაშვილის ,,დედა-ენა" საკადრისად არ არის დაფასებული.
- საჭიროა თუნდაც I – II კლასებში ამ ტრადიციული სახელმძღვანელოთი სწავლება. I კლასში საკმარისია იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო!
- ქართული მენტალობის შესანარჩუნებლად აგრეთვე უნდა აიკრძალოს I – II კლასში უცხო ენების სწავლება, რადგან ბავშვებიც და მშობლებიც სტრესში

ISSN 1512-1801

ვარდებიან, ბავშვები ვერ ითვისებენ ერთდროულად ქართული ენის ანა-ბანას და პარალელურად ინგლისურს. **ნებისმიერი უცხო ენა უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ მესამე კლასიდან,** როცა მოსწავლეებს უკვე შეთვისებული აქვთ მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის უნარ-ჩვევები.

- ინგლისური ენის შემოღება I კლასიდან არის დიდი შეცდომა. აღსანიშნავია აქვე, რომ ამ ბოლო დროს ქართულ სკოლაში შემოდიან აზერბაიჯანელი ბავშვები და მათ უხდებათ არა მარტო ქართულის, არამედ უცხო ენის შესწავლა, რაც ორმაგი სირთულეა და მეთოდურად არ არის გამართლებული.
- აქ არ შეიძლება არ შევეხოთ რუსული ენის სწავლების პრობლემასაც. როგორც ცნობილია, რუსული ენა გამოიდევნა სკოლის დაწყებითი საფეხურიდან და ისწავლება მე-7 კლასიდან, რაც ყოვლად დაუშვებელია. მიგვაჩნია, რომ საჭიროა აღდგეს რუსული ენის სწავლება მესამე-მეხუთე კლასიდან, გამომდინარე ობიექტური მიზეზებიდან.
- უნდა შეიცვალოს საათობრივი ბადე აგრეთვე დაწყებითი კლასების სხვა საგნებში. მაგ: ქართულ ენაში უნდა გაიზარდოს საათების რაოდენობა 8-9 საათით, მათემატიკაში უნდა იყოს 6 სთ.
- უნდა მოემატოს შრომის საათები (შრომითი სწავლება გაუქმებულია!) ვითხოვთ ამ საათების, რელიგიისა და კულტურის აღდგენას (თუნდაც 1 სთ).
- დაწყებითი კლასების მასწავლებელთა აზრით, მოსწავლეთა წიგნიერების დონის ასამაღლებლად საჭიროა გამოიცეს და მიეწოდოს სკოლებს კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა და დაწესდეს კითხვის საათი.

I კლასის ქართული ენის სახელმძღვანელო მოწყვეტილია გოგებაშვილის იდეებს, ტექსტები დიდია, ისინი უნდა გადავიტანოთ II კლასში (ასაკის გათვალისწინებით).

- მეტი ყურადღება ესაჭიროება კალიგრაფიული წერის საკითხებს. უნდა აღდგეს ,, ქართული წერის დედანი". ამასთან დაკავშირებით II კლასში მიზანშეუწონლად მიაჩნიათ პრაქტიკოს მასწავლებლებს II სემესტრიდან სწრაფი ტემპით 19 ხაზიან რვეულებზე გადასვლა.
- მნიშვნელოვანი პრობლემაა სკოლაში დაფები, რომლებიც პრიალებენ, მათზე ვერ იწერება, რადგან უხარისხო მასალისგან მზადდება. ძალზე საჭიროა აგრეთვე დაწყებით კლასებში დახაზული დაფები (როგორც ქართული, ასევე შემდგომში რუსული ენის წერისთვის).
- სკოლებს აკლიათ თვალსაჩინო მასალა, რომელიც შეიძლება შეიკვეთოს და დამზადდეს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში (მათემატიკის, ენათმეცნიერების, ბოტანიკის და სხვა). კერძოდ ამგვარი მასალების შეძენა უჭირთ მასწავლებლებს, ამიტომ ეს საქმე უნდა ითავოს განათლების სამინისტრომ.

ISSN 1512-1801
Teachers' first conference "University and School - essential to each other", 29-30 November 2013.
Materials

- თანამედროვე სკოლაში მწვავედ დგას კლასებში მოსწავლეთა რაოდენობის პრობლემა. ვფიქრობთ, რომ დაწყებით კლასებში (და არა მარტო) მოსწავლეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15-20-ს. თუ არის მეტი, უნდა გაიყოს ან დაწესდეს ახალი ზღვრული , რაოდენობით ნაკლები.

დასასრულს მინდა შეგახსენოთ იაკობ გოგებაშვილის კითხვა - პასუხი: ,, ვისა ჰქვიან პატრიოტი?" - ,,მას, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზედ გადაღობებია; ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ლხენითა; ვინც ბედნიერია მის ბედნიერებით, უბედურია მის უბედურებით და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე".

(,,შინაური მიმოხილვა" – 1882)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იაკობ გოგებაშვილი ,,რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწარმოები" ტ.1, 1910, გვ.47.
2. იაკობ გოგებაშვილის ბიბლიოგრაფია (1865 – 1960). თბ. ,,ცოდნა" 1961, 230 გვ.